

გამოყენების წესები

მომხმარებელს არ ეძლევა უფლება იქონიოს წვდომა ან გამოიყენოს GCloud ("სერვისი") ნებისმიერი უკანონო ან არასანქცირებული მიზნებისათვის. მომხმარებლები თანახმა არიან დაიცვან ყველა ადგილობრივი კანონი, რომელიც ეხება კონფიდენციალურობას და პირადი მონაცემების დაცვას, ონლაინ ქცევას და შინაარსის კანონიერებას.

მომხმარებელს არ ეძლევა უფლება იქონიოს წვდომა სერვისზე ან გამოიყენოს იმ გზით, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, შეაფერხოს სერვისის მუშაობა ან გამოიყენოს სერვისი კანონდარღვევით.

მაგალითად, თქვენ არ შეგიძლიათ:

- არასწორად წარმოაჩინოთ თქვენი მონაცემები და ორგანიზაციის წევრობა;
- ინფორმაციის შეგროვება უნებართვოდ ავტომატიზირებული საშუალებების გამოყენებით;
- მოიპოვოთ ან შეეცადოთ მოიპოვოთ უნებართვო წვდომა სხვა კომპიუტერულ სისტემებზე, ინფორმაციაზე ან მომსახურებებზე, რომლებიც ხელმისაწვდომია სერვისზე ან მისი საშუალებით;
- გამოიყენოთ ნებისმიერი მოწყობილობა ან პროგრამული უზრუნველყოფა და ხელი შეუშალოთ ან შეეცადოთ ხელი შეუშალოთ მომსახურების გამართულ ფუნქციონირებას, ან სცადოთ სკანირება, სისუსტეების ტესტირება, ან უსაფრთხოების დარღვევა ნებისმიერი სისტემის ან მოწყობილობის მიმართ;
- მკაცრად იკრძალება უსაფრთხოების კომპრომეტირებისთვის შექმნილი ინსტრუმენტების გამოყენება (მაგალითად, პაროლის გამოცნობის პროგრამები, კრეკინგის საშუალებები ან ქსელის გამოკვლევის საშუალებები);
- განახორციელოს ნებისმიერი ქმედება, რომელიც არაპროპორციულად დიდ დატვირთვას გამოიწვევს ქსელზე ან ინფრასტრუქტურაზე;
- ატვირთოთ ან სხვაგვარად გადასცეთ ნებისმიერი პროგრამა ან მასალა, რომელიც შეიცავს ვირუსს ან სხვაგვარად საზიანოა კომპიუტერებისათვის, მოწყობილობებისათვის ან გარე სისტემებისათვის და მათი მომხმარებლებისათვის.

მომხმარებლის მიერ სისტემის ან ქსელის უსაფრთხოების ნორმების დარღვევისა და მომხმარებლის მხრიდან ზემოთ ნახსენები სხვა ქცევის შემთხვევაში, ჩვენ შეგვიძლია შევზღუდოთ ან შევაჩეროთ მომსახურებაზე წვდომა და ამოვიღოთ ინფორმაცია მომხმარებლის გაფრთხილების გარეშე. უსაფრთხოების წესების დარღვევის შემთხვევაში ჩვენ შეიძლება ვითანამშრომლოთ სამართალდამცავ ორგანოებთან.